With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ევროკავშირის სამართლებრივი სახე
LEGAL FACE OF THE EU

CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW

# საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირსა და საქართველოში

Jean Monnet project

Erasmus+, Caucasus University

ევროკავშირის სამართლებრივი სახე LFEU

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

ლევან მოსახლიშვილი/Levan Mosakhlishvili

7-8 ივლისი/ 7-8 July 2021

ბათუმი/Batumi

# ევროკავშირის საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები

- საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივა (2014/24/EU);
- დავების განხილვის შესახებ დირექტივა (89/665/EEC)
- კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივა (2014/25/EU) - დირექტივა წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი სუბიექტების შესყიდვების შესახებ;
- სამუშაოების შესრულების გარკვეული ხელშეკრულებების მინიჭების პროცედურების კოორდინაციის შესახებ, მიწოდების ხელშეკრულებებისა და საზოგადოებრივი მომხმარებლების ან ორგანიზაციების მიერ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების შესახებ დირექტივა. (2009/81 / EC )
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (GPA)

# საქართველოს საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა



## 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA)
## ვალდებულებები საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით

- **I ფაზა** – 3 წელი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტების დანერგვა;
- **II ფაზა** – 5 წელი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა (2014/24/EU) და დავების განხილვის შესახებ დირექტივის (89/665/EEC) ძირითადი ელემენტების დანერგვა;
- **III ფაზა** – 6 წელი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივისა (2014/25/EU) და ამ სფეროსთან დაკავშირებით დავების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტების დანერგვა;
- **IV ფაზა** – 7 წელი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა და დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტების დანერგვა;
- **V ფაზა** – 8 წელი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან – კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის შესახებ დირექტივისა და ამ სფეროსთან დაკავშირებით დავების განხილვის შესახებ დირექტივის (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტების დანერგვა.

# საჯარო შესყიდვების კანონპროექტი VS. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

| | |
|---|---|
| 16 თავი | 116 მუხლი |
| 7 თავი | 26 მუხლი |

# ძირითადი სიახლეები




- კანონის მიზნები და საჯარო შესყიდვის პრინციპები
- ტერმინების განმარტება ევროკავშირის დირექტივების საფუძველზე
- გამონაკლისი შემთხვევების აკრძალვა, გარდა კანონით დადგენილისა
- შეზღუდვების ახლებური რეგულაცია შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის
- შესყიდვების სპეციალისტების სავალდებულო სერთიფიცირება
- სატენდერო კომისიის არსებობა/არარსებობა
- კანონით რეგულირებადი საქმიანობა, მხოლოდ დირექტივის დონეზე
- საჯარო შესყიდვის ინსტრუმენტების ახლებური რეგულაცია
- შესყიდვების დაგეგმვის ახლებური წესი
- ახალი მონეტარული ზღვრები
- ვადების შერჩევის ახლებური წესი
- წინადადებების შეფასება, ხელშეკრულების გაფორმების ახლებური წესები


ღიაობა და გამჭვირვალობა;
ერთიანი ელექტრონული სისტემა
სახსრების ეფექტიანი და რაციონალური ხარჯვა;
პრინციპები
თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენცია;
არადისკრიმინაციულობა და თანასწორი მოპყრობა;
პროპორციულობა;

# შემსყიდველი ორგანიზაცია

დაფინანსება

კანონით გათვალისწინებული სახსრებით დაფინასებული სუბიექტი.

დაფინანსება და საქმიანობის კონტროლი

- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა);
- პირი (საწარმოს გარდა) ან ორგანო, რომელიც:
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაფუძნებულია/შექმნილია საჯარო მიზნის მისაღწევად და რომელსაც არ გააჩნია ინდუსტრიული ან კომერციული ხასიათი;

**აკმაყოფილებს ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთს მაინც:**

- იღებს დაფინანსების ნახევარზე მეტს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ან სხვა შემსყიდველი ორგანიზაციისგან;
- ექვემდებარება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლს;
- ჰყავს მმართველი ორგანო ან სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრების ნახევარზე მეტს ნიშნავს შემსყიდველი ორგანიზაცია;

**საწარმო, რომელზეც შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა:**

- ფლობს საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტს;
- ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს;
- თანამდებობაზე ნიშნავს მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნახევარზე მეტს;

ეკონომიკური ოპერატორი, რომელმაც განაცხადით მოითხოვა მონაწილეობა ან რომელიც მიწვეულ იქნა მონაწილეობის მისაღებად შეზღუდულ პროცედურაში, ინოვაციურ პარტნიორობაში ან კონკურსში;

## საქონლის მიწოდება

- 03000000-1-დან 45000000-7-მდე CPV კოდებში.
- შესაძლებელია მოიცავდეს მის მონტაჟს ან/და განლაგებას;

## სამუშაოს შესრულება

- 45000000-7-დან 48000000-8-მდე CPV კოდებში
- ერთდროულად პროექტირებასა და სამუშაოს შესრულებას;

## მომსახურების გაწევა

- 48000000-8-დან 98910000-5-მდე CPV კოდებში;

## კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურება

- სასმელი წყლის, ელექტროენერგიის, გაზის ან გათბობის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, დისტრიბუციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების მისაწოდებლად განკუთვნილი ფიქსირებული ფიზიკური ქსელის უზრუნველყოფას ან მართვას; ქსელებისთვის სასმელი წყლის, ელექტროენერგიის, გაზის ან გათბობის მიწოდებას;
- ჰიდრავლიკურ საინჟინრო პროექტებს, ირიგაციასა და მიწის დრენაჟს, იმ შემთხვევაში, თუ სასმელი წყლის მიწოდებისათვის გამოსაყენებელი წყლის მოცულობა აღემატება მთლიანი წყლის მოცულობის 20%-ს, რაც ხელმისაწვდომი ხდება ასეთი პროექტებით ან ირიგაციის ან სადრენაჟე სისტემებით;
- ნარჩენი წყლების განკარგვას ან მართვას;
- გეოგრაფიული ადგილის ექსპლოატაციას ნავთობის, გაზის, ქვანახშირის ან სხვა მყარი საწვავის აღმოჩენის მიზნით, ასევე ნავთობისა და გაზის მოპოვებას;
- გეოგრაფიული ადგილის ექსპლოატაციას აეროპორტების, საზღვაო და შიდა წყლების პორტების, აგრეთვე სხვა ტერმინალების (რომლებიც გამოიყენება საჰაერო, საზღვაო და შიდა წყლებით ტრანსპორტირებისთვის) უზრუნველსაყოფად;
- საფოსტო მომსახურება;
- სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელი ქსელის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, მათ შორის, რკინიგზის, ავტობუსის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, საბაგირო ან ავტომატიზებული სისტემების გამოყენებას. ასეთი ქსელი არსებობს, თუ სატრანსპორტო მომსახურება მიეწოდება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი სამუშაო პირობების შესაბამისად, როგორიცაა, პირობები გასაწევი მომსახურების მარშრუტთან, ხელმისაწვდომობასთან და სიხშირესთან დაკავშირებით;

# კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების ოპერატორი

- შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს კომუნალურ და სხვა საზოგადოებრივ მომსახურებას;
- სხვა პირი ან ორგანო, რომელიც არ არის შემსყიდველი ორგანიზაცია, მაგრამ ახორციელებს კომუნალურ და სხვა საზოგადოებრივ მომსახურებას მისთვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მინიჭებული სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე.

# ენა

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესყიდვის შესახებ განცხადება და შესყიდვის დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია, აგრეთვე, განთავსდეს ინგლისურ ენაზე.

თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება ევროკავშირის მონეტარულ ზღვრებს, შესყიდვის შესახებ განცხადების ელექტრონულ სისტემაში, აგრეთვე, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება სავალდებულოა.

# ზოგადი გამონაკლისები - კანონის მოქმედების სფერო

საარბიტრაჟო და მედიაციის მომსახურებაზე;
იურისტის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვა:
ა) საარბიტრაჟო წარმოებაში ან მედიაციის პროცესში საქართველოში ან უცხო სახელმწიფოში, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟის ან მედიაციის წინაშე;
ბ) საქართველოს ან უცხო სახელმწიფოს სასამართლოებში ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე საერთაშორისო სასამართლოებში, ტრიბუნალებში ან ინსტიტუციებში;
გ) იურიდიული კონსულტაცია, რომელიც უკავშირდება იურისტის მიერ კლიენტის ინტერესების მითითებული ნებისმიერი პროცესისთვის მომზადებას;
დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმება და დადასტურება;
სასამართლოს მიერ ან კანონით დანიშნული წარმომადგენლებისა და მეურვეების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურება, რომელიც ემსახურება სასამართლოს ან კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით სპეციალური ამოცანების შესრულებას;

## შესყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გამონაკლისები

თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- შემსყიდველი ორგანიზაცია მარტო ან სხვა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ერთად სრულად აკონტროლებს ამ იურიდიულ პირს.
- ამ იურიდიული პირის საქმიანობის 80%-ზე მეტს წარმოადგენს იმ დავალებების შესრულება, რომლებიც მას დააკისრა ან დააკისრეს მაკონტროლებელმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ან შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ან სხვა იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც აკონტროლებს ის შემყიდველი ორგანიზაცია ან შემსყიდველი ორგანიზაციები;
- არ არსებობს კერძო კაპიტალის პირდაპირი თანამონაწილეობა ამ იურიდიული პირის საქმიანობაში.
- შესყიდვის ხელშეკრულებას დებს მის მაკონტროლებელ შემსყიდველ ორგანიზაციასთან ან სხვა იურიდიულ პირთან, რომელსაც აკონტროლებს იგივე შემსყიდველი ორგანიზაცია, იმ პირობით, რომ არ არსებობს კერძო კაპიტალის პირდაპირი თანამონაწილეობა იმ იურიდიული პირის საქმიანობაში, რომელთანაც იდება შესყიდვის ხელშეკრულება.

კანონის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს შესყიდვის იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც დაიდო ექსკლუზიურად ორ და მეტ შემსყიდველ ორგანიზაციას შორის, იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ა) მონაწილე შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის ყალიბდება ან ხორციელდება თანამშრომლობა, რათა მათ მიერ გასაწევი საჯარო სამსახურით მიღწეულ იქნეს მათი საერთო მიზნები;

ბ) ასეთი თანამშრომლობის განხორციელებისას სახელმძღვანელო პრინციპია მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ინტერესი;

გ) მონაწილე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის წილი ღია ბაზარზე 20%-ზე ნაკლებია.

# ინტერესთა კონფლიქტი

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
თ) პირები ნათესავები არიან;
ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ა) იგი ან მისი ნათესავი არის ეკონომიკური ოპერატორის თანამშრომელი, ხელმძღვანელი, წილის მფლობელი, წევრი, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აგრეთვე იყო ეკონომიკური ოპერატორის თანამშრომელი, ხელმძღვანელი, წილის მფლობელი, წევრი, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში;

ინტერესთა კონფლიქტის პირობები აგრეთვე ვრცელდება ქვეკონტრაქტორებთან და სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან (რომელთა შესაძლებლობებსაც იყენებს ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი) მიმართებითაც.


კომიტეტის გარეშე
კომიტეტი
3-9 წევრი
ზოგადი
კონკრეტული ტიპის შესყიდვის
კონკრეტული შესყიდვისთვის

# CERTIFICATE

სერტიფიცირება ტარდება სახელმწიფო ენაზე, ელექტრონულად, წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

სერტიფიცირებაზე დაიშვება უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) მას შემსყიდველი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის ჩამორთმეული აქვს სერტიფიკატი და მისი ჩამორთმევიდან არ არის გასული 1 წელი;

ბ) ნასამართლევია ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენისთვის:

ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ან კომერციული მოსყიდვა; თაღლითობა, მითვისება ან გაფლანგვა, ფულის გათეთრება; გადასახადისათვის თავის არიდება; ტერორისტული აქტი, ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა, ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება, ტერორიზმის მუქარა, წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის;

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა;

PRINCIPAL

DATE

სერტიფიცირებისთვის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო ატარებს სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელ კურსს.

- სერტიფიკატი უვადოა

სერთიფიკატი უქმდება:

ა) თუ პირი არ დასაქმდა 2 წლის განმავლობაში ან განთავისუფლების მერე არ დასაქმდა 2 წელში .

ბ) ძალაში შევიდა გადაწყვეტილება.

გ) არღვევს ეთიკის კოდექსს.

# საჯარო შესყიდვის პროცედურები

- ღია პროცედურა
- შეზღუდული პროცედურა
- კონკურენტული დიალოგი
- ინოვაციური პარტნიორობა
- კონკურსი
- მოლაპარაკების პროცედურა
- საჯარო შესყიდვის პროცედურები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში მომსახურების შესყიდვის მიზნით.

## ღია პროცედურა

1. ღია პროცედურა ერთეტაპიანი პროცესია.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას და აქვეყნებს სრულყოფილ, საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის შემცველ შესყიდვის პირობებს.
3. წინადადების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს. შემსყიდველ ორგანიზაციას არ შეუძლია შეამციროს პრეტენდენტების რაოდენობა.
4. დაუშვებელია ღია პროცედურაში მოლაპარაკების გამართვა.

## შეზღუდული პროცედურა

1. შეზღუდული პროცედურა ორეტაპიანი პროცესია.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას, განაცხადის წარსადგენად იწვევს ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს და განსაზღვრავს წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხას.
3. წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულები, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მინიმალურ მოთხოვნებს და შერჩეულ კანდიდატებს იწვევს წინადადებების წარსადგენად. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა ოდენობა.
4. დაუშვებელია შეზღუდულ პროცედურაში მოლაპარაკების გამართვა.

# კონკურენტული დიალოგი I

1. კონკურენტული დიალოგი ორეტაპიანი პროცედურაა.
2. კონკურენტული დიალოგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

ა) საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესასყიდად, თუ კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი:

ა.ა) შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებები ვერ დაკმაყოფილდება არსებული გადაწყვეტის გზების ადაპტაციის გარეშე;

ა.ბ) შესყიდვა მოიცავს დიზაინს ან ინოვაციურ გადაწყვეტას;

ა.გ) შესყიდვის ხელშეკრულება ვერ დაიდება წინასწარი მოლაპარაკების გარეშე მის ბუნებასთან, სირთულესთან, სამართლებრივ და ფინანსურ სტრუქტურასთან ან რისკებთან დაკავშირებული გარემოებების გამო;

ა.დ) შემსყიდველი ორგანიზაცია მკაფიოდ ვერ განსაზღვრავს სპეციფიკაციებს შესაბამის სტანდარტზე მითითებით;

ბ) როდესაც საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ღია ან შეზღუდული პროცედურები არ შედგება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის პირობებში განსაზღვრავს საჭიროებებსა და მოთხოვნებს, აგრეთვე საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებსა და ვადებს. სავალდებულოა ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება.

# კონკურენტული დიალოგი II

4. ნებისმიერ დაინტერესებულ ეკონომიკურ ოპერატორს აქვს უფლება, წარადგინოს განაცხადი.
5. წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულები, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მინიმალურ მოთხოვნებს და შერჩეულ კანდიდატებს იწვევს კონკურენტულ დიალოგში მონაწილეობის მისაღებად. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა ოდენობა.
6. შემსყიდველი ორგანიზაცია შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებთან იწყებს დიალოგს, რომლის მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების მიღწევის საუკეთესო საშუალების იდენტიფიცირება და განსაზღვრა. დიალოგის განმავლობაში შესაძლებელია შესყიდვის ყველა ასპექტის განხილვა.
7. დიალოგის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია ყველა პრეტენდენტის მიმართ უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას. მან არ უნდა მიაწოდოს პრეტენდენტებს ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით, რაც ზოგიერთ პრეტენდენტს სხვებთან შედარებით მიანიჭებს უპირატესობას. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანდიდატის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტის გზა ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე არ გაუნდოს სხვა კანდიდატებს. ასეთი თანხმობა არ უნდა იყოს გენერალური და უნდა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ ინფორმაციაზე.

ინოვაციური პარტნიორობა ორეტაპიანი პროცესია.

ინოვაციური საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების საჭიროების მითითება.

ეკონომიკურ ოპერატორს უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი.

კვალიფიკაციის დადგენა.

პარტნიორობის დაწყება ერთ ან რამდენიმე სუბიექტთან.

ფაზებად დაგეგმვა

მოლაპარაკების წარმოება

შერჩევის კრიტერიუმები

# კონკურსი

კონკურსი წარმოადგენს საჯარო შესყიდვის ალტერნატიულ პროცედურას, რომლის მეშვეობითაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეისყიდოს გეგმა ან დიზაინი, როგორც წესი, ქალაქისა და დასახლების დაგეგმარების, არქიტექტურულ და საინჟინრო ან მონაცემების დამუშავების სფეროში.

კონკურსს ატარებს სპეციალური ჟიური

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეზღუდოს კონკურსის მონაწილეთა რაოდენობა შესყიდვის პირობებში წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო და არადისკრიმინაციული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად. მოწვეულ კანდიდატთა რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად.

# საჯარო შესყიდვის ინსტრუმენტები



# აგრეგირებული საჯარო შესყიდვებია

ერთობლივი შესყიდვა

ცენტრალიზებული შესყიდვა

# შესყიდვის ციკლი



# დაგეგმვის ტიპური ეტაპები



# საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები მოიცავს

დაბალ ფასს;
ეკონომიკურ ეფექტიანობას, როგორიცაა სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი, რომელიც მოიცავს საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ეტაპის ხარჯს ან მთლიან ხარჯს, კერძოდ:
**ა) შემსყიდველი ორგანიზაციის ან სხვა მომხმარებლის მიერ გაწეულ ხარჯს, მათ შორის:**
ა) შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯს;
ბ) გამოყენების ხარჯს, როგორიცაა ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარება;
გ) მოვლა-შენახვის ხარჯს;
დ) სიცოცხლისუნარიანობის დასრულების ხარჯს, როგორიცაა შეგროვებისა და გადამუშავების ხარჯი;
**ბ.ბ) საქონელთან, სამუშაოსთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ გარემოცდაცვითი გარეფაქტორებით განპირობებულ ხარჯს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, თუ მისი მონეტარული ღირებულების განსაზღვრა და გადამოწმება არის შესაძლებელი. ასეთი ხარჯი შესაძლოა მოიცავდეს სითბური გაზების ან სხვა დაბინძურების ემისიას, აგრეთვე კლიმატური ცვლილებით გამოწვეული შედეგების შემცირების ხარჯებს;**

ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ხარისხობრივი, გარემოსდაცვით ან სოციალური ასპექტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს:

გ.ა) ხარისხს, მათ შორის, ტექნიკურ, ესთეტიკურ და ფუნქციურ მახასიათებლებს, ხელმისაწვდომობას, ყველა მომხმარებელზე მორგებას, სოციალურ, გარემოსდაცვით და ინოვაციურ მახასიათებლებს, ასევე ვაჭრობასა და მის პირობებს;

გ.ბ)ორგანიზაციულ მოწყობას, შესყიდვის ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად განსაზღვრული პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, თუ პერსონალის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ვალდებულებების შესრულებაზე;

გ.გ) გაყიდვის შემდგომ მომსახურებასა და ტექნიკურ მომსახურებას, მიწოდების პირობებს, როგორიცაა მიწოდების თარიღი, პროცესი, პერიოდი ან დასრულების პერიოდი.

# საჯარო შესყიდვის გამოცხადება. განაცხადისა და წინადადების წარდგენა



# დისკვალიფიკაცია

ა) იგი რეგისტრირებულია შავ სიაში;
ბ) არსებობს შავ სიაში შეყვანის კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საფუძველი;
გ) მიმდინარეობს კანდიდატის/პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, შეჩერდა ან შეწყდა მისი საქმიანობა, დაიწყო ან მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, დაიწყო მისი ლიკვიდაციის პროცესი ან იგი ლიკვიდირებულ იქნა (თუ კანდიდატი/პრეტენდენტი ფიზიკური პირია – იგი გარდაიცვალა);
დ) პრეტენდენტს ან კანდიდატს, საქართველოში ან ქვეყანაში, სადაც იგი რეგისტრირებულია ან მას აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი, გააჩნია საგადასახადო დავალიანება;
ე) მასთან არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და იგი კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ღონისძიების გატარების შემთხვევაშიც ვერ იქნება თავიდან აცილებული;
ვ) არსებოს ეკონომიკური ოპერატორის კანონით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის საფუძვლები და დისკვალიფიკაცია არ შეიძლება იქნეს თავიდან აცილებული სხვა ნაკლებადშემზღუდავი გზით;
ზ) განაცხადი/წინადადება არ შეესაბამება შესყიდვის პირობებს და იგი ამ კანონითა და სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად არ ექვემდებარება დაზუსტებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი დაზუსტება – იგი დადგენილ ვადაში არ დაზუსტდება ან არასრულყოფილად დაზუსტდება;
თ) ვერ დასაბუთდება ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

# კანდიდატთა რაოდენობის შემცირება

**შეზღუდულ პროცედურაში, კონკურენტულ დიალოგში ან ინოვაციურ პარტნიორობაში** შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება შეზღუდოს კანდიდატების, რომლებიც აკმაყოფილებენ შერჩევის კრიტერიუმებს და მოწვეულ იქნებიან წინადადების წარსადგენად ან დიალოგში მონაწილეობის მისაღებად, რაოდენობა, თუ მათი ოდენობა არ იქნება ამ მუხლით განსაზღვრულზე ნაკლები.



# შესყიდვის ხელშეკრულება / ჩარჩო შეთანხმება

- *შესყიდვის ხელშეკრულების/ჩარჩო შეთანხმების დადება*
- *ცვლილება შესყიდვის ხელშეკრულებაში/ჩარჩო შეთანხმებაში*
- *შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების პროცესში ჩართული პერსონალის, ქვეკონტრაქტორისა და სხვა ეკონომიკური ოპერატორის ცვლილება*
- *შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*
- *შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები*
- *ანგარიშსწორების პირობები*



# სპეციფიური შესყიდვები

შესყიდვები კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში
თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჯარო შესყიდვები

# დავის განმხილველი ორგანოები და დავის განხილვა

საჯარო შესყიდვებთან და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შერჩევის პროცესთან დაკავშირებული დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში.

# ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

- საჯარო შესყიდვების განხორციელება ამ კანონის გვერდის ავლით
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობების დარღვევა საჯარო შესყიდვის სპეციალისტის დასაქმების წესის დარღვევა
- საჯარო შესყიდვის პროცედურის შესყიდვების კომიტეტის/ჟიურის გარეშე განხორციელება ან შესყიდვების კომიტეტის/ჟიურის შექმნის წესის დარღვევა
- ბაზრის კვლევის განუხორციელებლობა
- მონეტარული ზღვრების არასწორად შერჩევა ან/და საჯარო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა
- საჯარო შესყიდვის პროცედურის ან საჯარო შესყიდვის ინსტრუმენტის არასწორად შერჩევა
- წინასწარი საინფორმაციო შეტყობინების, შესყიდვის შესახებ განცხადების ან/და შესყიდვის დოკუმენტაციის შედგენის ან/და გამოქვეყნების წესის დარღვევა
- საჯარო შესყიდვის არასწორად წარმართვა
- შესყიდვის ხელშეკრულების/ჩარჩო შეთანხმების დადების ან შესყიდვის ხელშეკრულებაში/ჩარჩო შეთანხმებაში ცვლილების შეტანის წესის დარღვევა
- საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა
- სააგენტოსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა ან მცდარი ინფორმაციის მიწოდება
- საჯარო შესყიდვების განხორციელებისას სახსრების არაეფექტიანად და არარაციონალურად ხარჯვა

# მადლობა ყურადღებისათვის !

# სასარგებლო ბმულები

საჯარო შესყიდვის შესახებ დირექტივისა (2014/24/EU)
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0024
დავების განხილვის შესახებ დირექტივის (89/665/EEC)
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31989L0665

2014 წლის 26 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2014/25 / EU დირექტივა წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი სუბიექტების შესყიდვების შესახებ
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0025
2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/81 / EC დირექტივა სამუშაოების შესრულების გარკვეული ხელშეკრულებების მინიჭების პროცედურების კოორდინაციის შესახებ, მიწოდების ხელშეკრულებებისა და საზოგადოებრივი მომხმარებლების ან ორგანიზაციების მიერ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების შესახებ.
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32009L0081
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (GPA)
https://www.wto.org/english/tratop_e/gproc_e/gp_gpa_e.htm